ხელშეკრულება № 02-10 / 176

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 13 ივნისი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის, შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ.#46ა) (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აგროინვესტსერვისი" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ გუგუციძის მინდობილი პირის ვაჟა მკურნალიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს მიერ 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად მოტობლოკის (მფ 223, საქარხნე ნომერი: 8600084) ნაწილისა (CPV კოდი 16800000 – სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ნაწილები) და შეკეთება–ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 50530000 – მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მოწოდებული საქონლის / მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 მოწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის / მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი/მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2 საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართის მიხედვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.
5.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო შემოწმებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.
5.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის/მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს სასოფლო–სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის აგროინჟინერი ნოდარ ბოლქვაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის / მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის/მომსახურების საფასურის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება, გასაწევი მომსახურების მოცულობის შესაბამისად.
ბ) შეასრულოს გამოვლენილი დეფექტის გამოსწორება „შემსყიდველი"–ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
გ) გააცნოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შედეგები და გაითვალისწინოს მისი მოთხოვნები;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის/მომსახურების მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული

პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2014 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"	შპს „აგროინვესტსერვისი"
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა	მის. ქ. თბილისი, 0183, ნუცუბიძის ფერდობი V მ/რ, კორ. 7, ბ.36
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22	ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი UGEBGE22
ა/ა GE88LB0121162303587000	ა/ა GE37VT6500000164383602
ს/კ 445399391	ს/კ 205210190
დირექტორი	დირექტორის მინდობილი პირი
გოჩა ბერიძე	ვაჟა [illegible]ბერიძე

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის/ მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	CPV კოდი 16800000 სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ნაწილები	ჩართვის ქუროს საკისარი	ცალი	1	85,00	85,00
2	CPV კოდი 50530000 მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	ჩართვის ქუროს საკისარის შეცვლის მომსახურება	ცალი	1	65,00	65,00
ჯამი			ლარი			**150,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს „აგროინვესტსერვისი“
დირექტორის მინდობილი პირი
ვაჟა მეურნარიძე

AGROINVESTSERVICE LTD
შპს აგროინვესტსერვისი

13.06.2014 წელი

მინდობილობა 02/06

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია შპს "აგროინვესტსერვისის" და ხელმოწერილია მისი დირექტორის იოსებ გუგუციძის მიერ (პ/მ ბ 0007101 პირადი № 01010000358, გაცემული თბილისის ვაკის რ-ის მესამე ქვეგანყოფილება, გაცემის თარიღი 09.02.1995.წ. მისამართი თბილისი ნუცუბიძის მე-5 მ/რ, კორპ. 7, ბინა 36)

მინდობილობა ეძლევა შპს „აგროინვესტსერვისის" თანამშრომელს, ვაჟა მკურნალიძეს, პ/ნ 33001008133, გაცემულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ 2006 წლის 03 ნოემბერს.

ასზედ, რომ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრთან" გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს მასში ცვლილებები, განახორციელოს ყველა შესაბამისი ქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილიბის მოქმედების ვადა 13.06.2014 წ - დან - 13.07.2014 წ - მდე.

შპს "აგროინვესტსერვისის"
დირექტორი

ი.გუგუციძე

ნუცუბიძის პლატო 5/7/36 ,0183 თბილისი, საქართველო 5/7/36 Nutsubidze plato, 0183 Tbilisi. Georgia
ტელ/ფაქს: + 995322392442 მობ: + 995599328195 Tel./fax. + 995322392442 Mob.+ 995599328195
e-mail: agroinvestservice@yahoo.com